ხელშეკრულება
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №162/01/143
CPV: **37400000** - სპორტული საქონელი და მოწყობილობები

ქ. თბილისი **31 აგვისტო, 2012 წელი**

ერთის მხრივ სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს დირექტორის მოადგილე ბადრი ნიაურის სახით (შემდგომში – შემსყიდველი), ხოლო მეორეს მხრივ, შ.პ.ს. „მსოფლიო ვარსკვლავები„ მისი დირექტორის [illegible] ყურაშვილის სახით (შემდგომში – მიმწოდებელი), ვხელმძღვანელობთ რა საქართველოს მთავრობის 2012 წლის 08 ივნისის №1072 განკარგულებით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე–10^1 მუხლის მე–3 პუნქტის „დ" ქვეპუნქტის შესაბამისად, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი და ობიექტი

1.1 ხელშეკრულების საგანია სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსების ფარგლებში, გლდანის პროფესიული გადამზადების ცენტრისათვის საჭირო სხვადასხვა დასახელების სპორტული საქონლის სახელმწიფო შესყიდვა, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

1.2. ხელშეკრულების ობიექტია: სხვადასხვა დასახელების სპორტული საქონლის მოწოდება დანართი 1-ში მითითებული ტექნიკური აღწერილობისა და მოცულობების მიხედვით.

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულებაა **44 675 (ორმოცდაოთხიათას ექვსას სამოცდათხუთმეტი) ლარი** ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანამდევი ხარჯების, (მიწოდების ადგილზე ტრანსპორტირების, მონტაჟისა და სხვა) ჩათვლით.

3. შესყიდვის ობიექტის ხარისხი

3.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მიწოდებული ობიექტის ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მოთხოვნებს.

4. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პირობები

4.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდებას მიმწოდებელი უზრუნველყოფს საკუთარი ხარჯებით, **2012 წლის 15 სექტემბრის ჩათვლით** შემდეგ მისამართზე: **ქ. თბილისი, ხიზანიშვილის ქუჩა, გლდანის პროფესიული საგანმნათლებლო დაწესებულება.**

4.2. მიმწოდებელი ვალდებულია გადასცეს შემსყიდველს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო საქონელი.

4.3. საქონლის დოკუმენტაციის, კერძოდ, საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურისა და სასაქონლო ზედნადების და/ან სათანადო ინვოისის წარმოდგენა საქონლის დასახელებისა და ფასის მითითებით.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება - ჩაბარების აქტით, შემსყიდველისა და მიმწოდებლის საამისოდ უფლებამოსილი (მინდობილი) წარმომადგენლის ხელმოწერით.

5.2. ხელშეკრულების შესრულების კონტროლზე (ინსპექტირებაზე) და ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმებაზე უფლებამოსილი პირია სააგენტოს შესაბამისი თანამშრომლები, მათ შორის შემსყიდველი უფლებამოსილია ინსპექტირება

5.3. მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებასთან ერთად, მიმწოდებელი ვალდებულია წარმოუდგინოს შემსყიდველს შესაბამისი ინვოისი, სადაც განსაზღვრული იქნება მიმღები: „სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო, წინააღმდეგ შემთხვევაში, შემსყიდველს უფლება აქვს უარი თქვას ანგარიშსწორებაზე.

6. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები) და ადგილი

6.1. მიწოდებული ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით.

6.2. შემსყიდველის მიერ ანგარიშსწორება მოხდება საქონლის მიწოდებაზე შესაბამისი მიღება-ჩაბარების გაფორმებიდან არაუგვიანეს 20 კალენდარულ დღეში.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1. შემსყიდველს უფლება აქვს:

7.1.1.შეამოწმოს მიწოდებული საქონლის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.

7.2. შემსყიდველი ვალდებულია:

7.2.1. მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;

7.3. მიმწოდებელი ვალდებულია:

დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

8. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

8.1. მხარეებმა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები უნდა შეასრულონ ჯეროვნად, კეთილსინდისიერად ხელშეკრულებით დათქმულ დროსა და ადგილას. მხარეები პასუხს აგებენ ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულებისათვის ხელშეკრულებითა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

8.2. ფორს-მაჟორული პირობების გარდა, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება საჯარიმო სანქციები, რომელთა ფორმა, ოდენობა, ამოქმედების პირობები და გადახდის ვადები განსაზღვრულია ამ მუხლში.

8.3. თუ მიმწოდებელი ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადის ფარგლებში ვერ შეასრულებს ნაკისრი ვალდებულებებს, შემსყიდველი უფლებამოსილია:

ა) შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება და მიმწოდებელი ხელშეკრულების არაჯეროვანი შესრულებისათვის დააჯარიმოს ხელშეკრულების საერთო თანხის **10%-ის** ოდენობით ან

ბ) განუსაზღვროს საქონლის მოწოდებისთვის დამატებითი ვადა არაუმეტეს **5 (ხუთი)** დღისა, რა ვადაშიც მიმწოდებელი ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე იხდის, პირგასამტეხლოს მიუწოდებელი საქონლის ღირებულების **1%**-ის ოდენობით.

8.4. თუ კი მიმწოდებელი 8.3. „ბ" პუნქტით გათვალისწინებულ დამატებით ვადაშიც ვერ განახორციელებს საქონლის მიწოდებას, შემსყიდველი წყვეტს წინამდებარე ხელშეკრულებას და მიმწოდებელი ხელშეკრულების არაჯეროვანი შესრულებისათვის დაჯარიმდება სეუსრულებელი ვალდებულების **10%-ის** ოდენობით.

9. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

9.1. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან **2012 წლის 20 სექტემბრის ჩათვლით,** ან მხარეთა მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების სრულ და ჯეროვან შესრულებამდე.

10. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

10.1 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის შეცვლა დაუშვებელია, თუ

ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კნონმდებლობით დადგენილი წესით.

11. ფორს-მაჟორი

11.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

11.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

11.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან

12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

12.1. ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

12.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

13. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

13.1. შემსყიდველი უფლებამოსილია მოახდინოს მიწოდებული საქონლის შემოწმება, რომლის მიზანია მისი შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

13.2. ხელშეკრულების ინსპექტირებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებენ წინამდებარე ხელშეკრულების 5.2 მუხლში აღნიშნული პირი.

13.3. შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს დაწუნებული საქონლის რაოდენობისა და წუნდების მიზეზების მითითებით.

13.4. გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

14. სხვა პირობები

14.1. მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

14.2. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

14.3. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

14.4. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ხუთ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი პირი მიმწოდებელთან და ოთხი პირი შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ინგლისურ ენაზე.

14.5. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმით იქნება შედგენილი და ხელმოწერილი მხარეთა მიერ.

15. თანმდევი მომსახურება

15.1. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს საქონლის ტრანსპორტირება და მონტაჟი მიწოდების ადგილზე (ქ.თბილისი, გლდანის რაიონი).

16. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

შემსყიდველი

სსიპ ,,საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო", მისამართი: ქ. თბილისი, ალექსიძის ქ. №1, შენობა–ნაგებობა N1, მე–2 სართული, ს/კ 202294980; სახელმწიფო ხაზინა, ა/ა 200122900, კოდი: 220101222

დირექტორის მოადგილე:

ბადრი ნიაური

(ხელმოწერა)

მიმწოდებელი

[illegible] ,,მსოფლიო ვარსკვლავები", ს/კ202392053; მის. ქ. თბილისი, სოხუმის ქ. N7. ბ2; სს [illegible]ქართველოს ბანკი", ბანკის კოდი: BAGAGE 22, ა/ა GE72BG 0000000204653800.

[illegible] ეკატერინა [illegible]შვილი

(ხელმოწერა)

202392053 WORLD STARS GEORGIA "MSOPLIO VARSKVLAVEBI" LTD

სპორტული ინვენტარი გლდანის პროფესიული ცენტრისტის					
N	დასახელება	რაოდენობა	ერთეულის ღირებულება	საერთო ღირებულება	ტექნიკური მახასიათებლები
1	სარბენი ბილიკი	1	3370	3370	ელექტრო. სიჩქარე 18კმ/სთ. დახრის კუთხე 18კმ/სთ. მოტორის სიმძლავრე 3,8
2	სარბენი ბილიკი	2	3370	6740	ელექტრო. სიჩქარე 18კმ/სთ. დახრის კუთხე 18კმ/სთ. მოტორის სიმძლავრე 3,2
3	სარბენი ბილიკი	1	3370	3370	ელექტრო. სიჩქარე 18კმ/სთ. დახრის კუთხე 16კმ/სთ. მოტორის სიმძლავრე 2,5
4	სარბენი ბილიკი	1	3370	3370	ელექტრო. სიჩქარე 18კმ/სთ. დახრის კუთხე 18კმ/სთ. მოტორის სიმძლავრე 3,2
5	სარბენი ბილიკი	1	1870	1870	ელექტრო. სიჩქარე 12კმ/სთ. დახრის კუთხე 10%. მატორის სიმძლავრე 3,2
6	სარბენი ბილიკი	1	1870	1870	ელექტრო. სიჩქარე 16კმ/სთ. დახრის კუთხე 15%. მოტორის სიმძლავრე 3,8.
7	სარბენი ბილიკი	2	1870	3740	ელექტრო. სიჩქარე 16კმ/სთ. დახრის კუთხე 15%. მოტორის სიმძლავრე 3,8.
8	ველო ტრენაჟორი	1	520	520	მექანიკური. მონიტორით რომელზეც აღინიშნება დრო დისტანცია, კალორია, პულსაცია.
9	ველო ტრენაჟორი	4	920	3680	მექანიკური. მონიტორით რომელზეც აღინიშნება დრო დისტანცია, კალორია, პულსაცია.
10	ველო თხილამური	3	1150	3450	მექანიკური. მონიტორით რომელზეც აღინიშნება დრო დისტანცია, კალორია, პულსაცია.
11	ველო თხილამური	2	750	1500	მექანიკური. მონიტორით რომელზეც აღინიშნება დრო დისტანცია, კალორია, პულსაცია.
12	შტანგის საწოლი	3	650	1950	ძალისმიერი. მოძრავი სკამით.
13	პრესის საწოლი	3	220	660	დახრილი. მოძრავი კუთხით.
14	კომპლექსური ტრენაჟორი	3	1050	3150	ზომა 148X121X213. 68 კილოგრამი სიმძიმის ბლინებით.
15	სავარჯიშო ლეიბი	5	70	350	83სმX1,76სმX2სმ
16	სავარჯიშო ლეიბი	4	35	140	1,73სმX61სმX6მმ
17	საცურაო დაფა	10	25	250	პენოპლასტი
18	საცურაო დაფა	10	35	350	პენოპლასტი
19	სამკლაური ცურვის	10	15	150	
20	ღრუბელი აუზის	15	25	375	სიგრძე 152სმ. დიამეტრი 6,5სმ
21	საჩოჯი	10	25	250	
22	შტანგა 140კგ	3	1120	3360	შტანგის ღერძი. და დამატებით 140კგ რეზინის ბლინები
23	ბლინი 5კგ	6	35	210	რეზინის
	ჯამი			44675	

საქართველო შპს. "მსოფლიო ვარსკვლავები" * GEORGIA "MSOPLIO VARSKVLAVEBI" LTD
მსოფლიო ვარსკვლავები
202392053
WORLD STARS